ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5194421

ნომერი: AR1789284

თარიღი : 19.11.2020

გაცემის თარიღი : 20.11.2020

გაცნობის თარიღი : 24.11.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მინდელი , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კარელიძე პ/ნ 59001101907
- ელისბარ მინდელის 11, ბინა 69

ნომენკლატურა :

- საჩუქარი პროექტები
- შერჩეული პროექტის მშენებლობის შესაძლებლობის განსაზღვრა მიწის ნაკვეთზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია არ იძლევა არც საკითხზე დეტალური მსჯელობის შესაძლებლობას და ასევე არასწორად გაქვთ დაგეგმილი სამუშაოებისათვის (რაც მოთხოვნის შინაარსისტექსტიდან ირკვევა) შერჩეული ნომენკლატურა.

თქვენს მიერ რუკაზე მონიშნული ობიექტზე სამსახურის 2020 წ 17 ნოემბერს № 5165062 ბრძანებით შეთანხმებული იქნა ქ.თბილისში, ქუჩა მინდელი , N 11-ში , კერძო საკუთრებაში არსებულ მიწისნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.05.005.122), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის (ა ბლოკის) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი გაიცეა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

შეძლებისდაგვარად თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების თაობაზე ზოგადი სახით განგიმარტავთ , რომ ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მონაცემის მიხედვით ვერ დგინდება, რომელ ბლოკზეა საუბარი, და მოთხოვნილი გაქვთ აივნის შემინვა, რაც წარმოადგენს საცხოვრებელი ფართის მატებით რეკონსტრუქციას , შესაბამისად თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები უნდა განხორციელდეს შეთანხმებული პროექტის კორექტირების გზით , ხოლო იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ფართი არ წარმოადგენს მრავალფუნქციური კომპლექსისის " ა ბლოკში" შემავალ ფართს და მშენებლობა დასრულებულია , შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში, ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება უნდა წრიმართოს რეკონსტრუქციის განხორციელებაზე არსებული შენობის კლასის მიხედვით , რისთვისაც დაგჭირდებათ მშენებლობის ნებართვის მოპოვება რაც წარიმართება სამი სტადიით .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.